№ 143. ივლისის 4, ოთხშაბათი. 1866—1884 ივლისის 4, ოთხშაბათი. № 143.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроеба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზე“

ნახევარის წლით

ივლისის 1-დამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი.

## დრამატიული საზოგადოების წევრნი

მოწვეულნი არიან ხუთშაბათს, ივლისის 5-ს საღამოს 7 საათზედ, „წერა-კითხვის საზოგადოების“ ზალაში (სიმონსონოვის ქუჩა, ნაზაროვის სახლი) საზოგადო კრებაზედ ახალი გამგეობის ამოსარჩევად, რადგან ხუთშაბათს ივნისის 28-ს ამორჩეულ გამგეობის ზოგიერთა წევრთა უარი სთქვეს თავიანთ თანამდებობაზედ. (3—2)

უწინდელ შვეიცარიის რესტორაციაში, თავად მუხრანსკის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე იყიდება იაფად

## ყინული

ფუთობით და ერთიანადაც შაური ნაკლებ სხვის ყინულზე და იაფადაც. მყიდველს შეუძლია იკითხოს დიდ ზურაბოვის მაღაზიაში. (3—3)

## შინაური ქრონიკა.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვს უბძანებია—ამ წლის დამლევამდის, დაპირებისამებრ, სულ გაკეთებული იქნეს თბილისიდამ თელავამდის მიმავალი მთავარი გზა გომბორისა. ეს გზა არსებითს საჭიროებას შეადგენს მთელის კახეთისათვის, რომლის მცხოვრებლები—თავადი თუ გლეხი, მღვდელი თუ ბერი, ყველანი ერთად მუდამ იმის ზრუნვაში იყვნენ, რომ ეს გზა შესაფერად გაეუმჯობესებინათ. თ. დონდუკოვ-კორსაკოვის კახეთში მიბძანების დროს, სხვათა შორის, ერთი უმთავრესი თხოვნათაგანი კახელებისა იყო „გომბორის გზა გაგვიკეთდესო“. მთავარ-მართებელმა მაშინ აღუთქვა მათ ამ სამართლიანის თხოვნის შესრულება და ახლა კი, როგორც მკითხველი ხედავს, გადაჭრილ დროსაც უჩვენებს, როცა კახელების დიდიხნის ნატვრა სრულიად შესრულებული იქმნება.

— ჩვენ გვითხრეს, რომ ერთს ისტორიისა და არხეოლოგიის მოყვარულს ახალგაზდა ქართველთაგანს განუზრახავს ქართული საისტორიო და საარხეოლოგიო საზოგადოების დაარსება და ამ საზოგადოების წესდების პროექტის შედგენისათვის უკვე მიუყვია ხელი სხვა ამგვართა წესდებულებათა მიხედვით.

ამბობენ, რომ ორ-სამ კვირაში კრება დაინიშნება კიდეც ყველა იმ პირთა, ვინც ამგვარს საქმეს თანაუგრძნობს და გულით ეკიდება ამ პროექტის გასაშინჯავად და ხელ-მოსაწერად, რომ ამის შემდეგ იგი წარედგინოს უმაღლეს მთავრობას დასამტკიცებლად. ჩვენ კერძოდ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ამგვარ საზოგადოებას. ვგონებთ, რომ თუ იგი მოეწყობა, საშუალება საკმარისი ექმნება მას, თანაგრძნობასაც დიდს აღმოუჩენს ყველა შეგნებული ქართველი, ვინც კი იცის, რა მძლავრი იარაღია წარსული ისტორიის გამორკვევა და თავგადასავალის მოთხრობა ერის ცხოვრების დამტკიცებასა და განვითარებისთვის.

უკეთუ ეს ხმა მართალი აღმოჩნდა, ჩვენ ამ საგანს მალე დავუბრუნდებით და მკითხველს ვრცლად მოველაპარაკებით ცალკე წერილით მომავალ საისტორიო «საზოგადოების» თაობაზე.

— ქართლიდამ გვატყობინებენ, რომ ერთი უბედურება კიდევ მომხდარა ამ დღეებში სოფ. მონასტერში ბორის მაზრაში. როდესაც თბილისიდამ წასული წევრი პალატისა ადგილობრივ მამულებსა სინჯავდა და უნდა გადაეწყვიტა დავა მებატონეთა და ხიზნის შორის, ერთ გლეხს თურმე უსიამოვნება მოსვლია თავად თ—შვილთან და ამ უსიამოვნობის დროს მიშველებია სახელმწიფო ინტერესის დამცველი ზ. პოვახი. პოვახს უცაბედად გავარდნია დამბაჩა, ტყვია იქ მდგომ ჩაფარს მოხვედრია და ერთ წამზედ გაუთავებია საბრალო.

— ჩვენ გვწერენ სტავროპოლიდამ: «რადგან გაზ. «დროება» ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს მოსწავლე ქართველ-ახალგაზრდობის გარემოებას, ვალად ვრაცხ შევატყობინო რედაქციას შემდეგი:

სტავროპოლის სემინარიაში სწავლობს რამოდენიმე ქართველი და აფხაზი. წრეულს სამმა ქართველმა

---

«დროების» ფელეტონი ივლისის 4-ს

## გზა—გზა.

(მოთხრობა რუსულით)

(შემდეგი *)

ჩვენ წავედით შორაპოვოში. შუაღამე იქნებოდა, ღრუბლებმა გადიყარა და მთვარე ბრწყინვალედ ანათებდა დათოვლილ მინდვრებს. ლარინისა, მხიარული და ბედნიერი, სტკბებოდა ღამის სიმშვენიერით.

— დიახ, თქვენ შეგიძლიანთ ეხლა ბედნიერად ჩასთვალოთ თქვენი თავი,—დაველაპარაკე მე, ფიქრებით გართობილი,—თქვენ კარგი საქმე მოიქმედეთ, შესაშურვებელია, შვების უფლება გაქვსთ. მაგრამ ეს კი უნდა გითხრათ, რომ თქვენთვის მძიმე ასპარეზი ამოგირჩევიათ. სათქმელადაც სახუმრო არ არის; იმდენი ხანი სწავლა, იმისთანა რთული სამეცნიერო კურსის გავლა და შემდეგ ამისთანა მოუსვენარი ხელობის კისრად აღება. ძნელია, ძალიან ძნელი!

— ოჰ, ეგ მხოლოდ ისე გარეგანად სჩანს,—მიპასუხა ლარინისამ.—რა შრომაზედ შეიძლება აქ ლაპარაკი? ფიზიკურზედ? განა არა ვხედამთ, როგორი შრომობენ ჩვენს გვერდით დედა-კაცები? ავიღოთ ჩვენ გლეხის დედა-კაცები, არავის არ უკვირს, როდესაც ისინი მკის დროს სჯაბნიან მამა-კაცებს. თუ გონების შრომაზედ ვიტყვით, ღმერთმანი, ამ ჩვენს ცოდნას ისე თან-და-თან და ზედ-მიყოლებით შევიძენთ ხოლმე და იმ წესით გვასწავლიან, რომ იმისი შეთვისება ტვირთი კი არ არის, სიამოვნებაა.

— მითხარით, რამ გაკისრებინათ ამ ხელობის არჩევა?

— პირველად საზოგადო უმაღლესის სწავლის საჭიროებამ. მაშინ ხომ ჩვენ სხვა უმაღლესი სასწავლებელი არა გვქონია. მედიცინის აკადემია უხსნიდა მხოლოდ გზასა, ვინც ისურვებდა ცხოვრებისათვის ასპარეზზედ გამოსვლას. მე შეველ საზოგადო სწავლისათვის, არ მქონდა მხედველობაში ექიმობა. შემდეგში კი, როდესაც საექიმო საგნებს შევუდექ, ისე უზომოდ მიმიზიდა საექიმო სწავლამ, რომ ეხლა დიდად მიყვარს ჩემი საქმე.

დიდხანს ვიმუსაიფეთ ამ გვარად გზაზედ. ლარინასთან ლაპარაკი როგორღაც ადვილი იყო კაცისთვის. იმან იცოდა საუბრის თვალის გადევნება და მცირედი აზრის მიმოკრთომის შემჩნევა. თითონ სრულებით სადად წარმოსთქვამდა აზრსა, მაგრამ იმ წარმოთქმაშივე შეამჩნევდით გონების სისალეს და თავისებურობას.

აი ამ გვარად ლარინის გაცნობის შემდეგ, მე სრულებით შევურიგდი ექიმ-ქალებს. ლარინისა ჩემთვის სრულიად ახალი, მოულოდნელი დედა-კაცების წარმომადგენელი იყო, რომელზედაც უნებლიედ იტყვი: ღმერთო, ზღომად მოგვეც ამისთანები! ახლა კი აღარ მეშინოდა, კიდეც ვსცდილობდი, რომ ჩემი ქალი გაეცნო, რომლისათვისაც იმ ხანში საჭირო იყო კარგი მაგალითი.

ჩემი სახლობა მალე დაუმეგობრდა ლარინისას და იმის მოსვლა დღესასწაულად მიგვაჩნდა; იშვიათად კი გვეწვეოდა ხოლმე, მაგრამ, როცა კი გვეწვეოდა ყოველთვის ხელ-საქმით მოდიოდა, ხან გლეხ-კაცის შვილებს უმზადებდა პერანგებს, ხან უკერავდა ფუფაიკებს, ხან უჭრიდა ტანსაცმელებს. იმის მარდ და ხერხიან ხელებში საქმე სდუღდა: ერთი თუ ორი საათის განმავალობაში, ლარინისა მოასწრობდა ორის, თუ სამის ნაჭრის მომზადებას. ხელ-საქმე არ უშლიდა იქ მყოფ საზოგადოებაში გართობას.

— რას აკეთებთ, ანნა ანდრეევნა?—ჰკითხა ერთხელ ჩემმა ძმის-წულმა, დღესასწაულებში მოსულმა, როდესაც პირველად ნახა ლარინისა ამ გვარი ხელ-საქმით.

— ეს პერანგებია პერხუშევის ბავშვებისა—და თითქოს საბოდიშოდ დაუმატა:—მე მომიხდა ამ ცოტას ხანში იმ სოფელში მისვლა გადამდები ავადმყოფობის, ყვავილის—გავრცელების გამო და ოჯახები დავიარე. ისეთი უკიდურესი სიღარიბე ვნახე, რომ შეწევნა უნდა მივცე რამე. წარმოიდგინეთ—ავადმყოფი ბავშვები წვანან სველს, ჭუჭყიან პერანგებში, რომელთაც ერთი კვირის და ორის კვირის განმავლობაშიც არავინა რეცხავს! როდესაც დედებს დავუწყე ლაპარაკი აუცილებლად პერანგების გამოცვლის საჭიროებაზედ, იმათ მიპასუხეს, რომ მეტი საცვალი არა გვაქვსო. გაშეშებული, ჭუჭყიანი პერანგი ფხაჭნის კანსა, უჩენს ტანზე მუწუკებს. რაღა საჭიროა დავუმატო, რომ უსუფთაობა და ჭუჭყი სნეულებას უფრო ავრცელებს. ამას გარდა, ტანსაცმელის უქონლობისაგამო დედას სუფთა ჰაერზე ვერ გამოუყვანია ბავშვი, რისგამოც ბავშვი, სნეულდება ვიწრო უჰაერო სახლში.

ჩემს ძმის-წულს პირს ღიმი მოუვიდა.

— ნუ თუ თქვენ იმედი გაქვსთ მაგ პერანგებით და ჩასაცმელებით შემოსოთ მთლად გაუვალი სიღარიბე, რომელშიაც ჩაფლულია ჩვენი გლეხკაცობა?—ჰკითხა მან, თითქოს ამით ლარინის გაჯავრება უნდაო. მგ ხომ წვრილმანი საშუალებაა, ეგ ხომ პალიატივია.

ლარინისამ საკერავი მუხლებზე დაუშვა, რაღაც ხევდის აჩრდილმა გადურბინა სახეზედ და დაჰფარა ჩვეულებრივი, პირნათელი გამოხატულობა; იმ წამს მე ის მეჩვენა რამდენიმე წლით დაბერებული.

— ბრიგოლ ალექსანდროვიჩ,—ნაღვლიანად უთხრა იმან ჩემს ძმისწულს,—თქვენ შეეხეთ ჩემთვის დიდად არა-სახუმარო მნიშვნელობის საგანს. რომელს ჩვენგანს დაუწყვია ცხოვრება, ჩაჰფიქრებია გარეშემოს და არ განუძრახავს ძირიანად აღმოფხვრა საერთო სიღარიბესი და საზოგადო სენისა,—ერთი სიტყვით, რომელს ჩვენგანს არ ჰსურდა გულწრფელად გამოსულიყო საბრძოლველად ეხლანდელ ვითარების წინააღმდეგ და ეპოვნა ნამდვილი წამალი ამ წვრილმანის მაგიერად? მაგრამ ეს, რასაკვირველია, ოცნებაა ჭაბუკობისა, როდესაც ჩვენ ვგრძნობთ ჩვენში მოჭარბებულ ძალას და გვგონია, რომ ქვეყნის გადაბრუნება შეგვიძლიანო. წელიწადებთან ეს მაცთურება განქრება და როცა ცხოვრება გვასწავლის, რა ამაო, თავის ტეხაა არა თუ ერთის კაცის მხრით, არამედ თვით მრთელი დასის მხრითაც საერთო ცხოვრების შეცვლის სურვილი,—მაშინ ჩვენ მცირე პროგრესითაც ვკმაყოფილდებით, რადგან სხვა გზას ვერ ვხედავთ და არ ვიწუხებთ იმ შეუ-

*) იხილე „დროება“ № 141.

დაასრულა კურსი: ოქროპირიძემ, ზიორგაძემ და შანშიევმა. სულ კურსი შეასრულეს 23-მა კაცმა; მათში შვიდმა პირველი ხარისხის (სტუდენტის) ატესტატები მიიღეს; ამ შვიდში არჩეულ იქმნა სამი საუკეთესო და მათ დაურიგდათ წიგნები (საჩუქრად); ეს სამნი არიან: ოქროპირიძე, ზიორგაძე და ერთი რუსი. გარდა ამისა, წრეულს სემინარიიდან სახელმწიფო ხარჯით ჰგზავნიან აკადემიაში ერთს, რომელმაც ნამდვილ ჩინებულად დაასრულა კურსი,—ეს ერთი არის ქართველი ოქროპირიძე».

═ აფხაზეთიდამ გვწერენ, რომ სუხუმის ერთს სასტუმროთაგანში თავი მოუკლავს ერთს ყმაწვილს კაცს, რომელიც აქ მოსულა კონსტანტინოპოლიდამ. იმ წინარე ამ ყმაწვილს ოთხი თუმანი მიუღია საიდანღაც. ფულთან ბილეთი ყოფილა; ბილეთში მხოლოდ შემდეგი წერებულა: «სამარის გუბერნიის მცხოვრები № სოლნცევი (გვარი მისი), სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტისა».

═ ბაქოს რეალურს სასწავლებელში გაუთავებია წელს კურსი ერთს ქართველს ყმაწვილ კაცს.

═ მოგეხსენებათ, რომ რამდენსამე ქართველ გენერალს უმაღლესის ბძანებით ებოძა მიწები ესრედ-წოდებულს ბალახანის მოედანზე, ბაქოსთან, სადაც არის მრავალი წყაროები ნავთისა, რომელმაც ესოდენი ყურადღება მიაქცევინა მთელს დედა-მიწას ჩვენს ქვეყანაზე საზოგადოდ და ბაქოზე—კერძოდ. ერთს მფლობელთაგანს ამ წყაროებისას, გენერალს თავ. ამილახვარს, როგორც გვაუწყებს ბაქოს გაზეთი, ამ დღეებში იჯარით გაუცია თავისი ადგილი დემბო და კოგანის ფირმისათვის 12 წლის ვადით. მოიჯარადრემ უნდა აძლიოს მეპატრონეს თითო ფუთს ნავთზე $3/4$ კაპეიკი იმ შემთხვევაში, თუ ამოღებული ნავთი 2 მილიონამდის იქნება, და თუ ამ რიცხვს აღემატა, მაშინ ფუთზე $1/2$ კაპეიკი უნდა ეძლიოს მეპატრონეს, თ. ამილახვარს.

ამ ნაირად 2 მილიონზე მეტი კიდეც რომ არ ამოიღონ მოიჯარადრეებმა, თ. ამილახვარს მაინც ხვდება წელიწადში საიჯარო ფული 15,000 მანათი (თხუთმეტი-ათასი მანათი).

═ ამ უკანასკნელ დროს, პოლიციმეისტერის ბძანებით პოლიციის მოხელენი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევენ ხილეულობის სყიდვა-გაყიდვას. ორი დღის განმავლობაში სხვა-და-სხვა ბაზრებში გადუყრიათ 50 ფუთი დამპალი და მკუხე ხილი («ახ. მიმოხ.»).

═ გუშინწინ, 9 საათზე საღამოს, როგორც გვაცნობებს „ახ. მიმოხ.“ გოლოვინის პროსპექტისა და ბარიატინსკის ქუჩების კუთხეში გაქანებულს ფაეტონს ქვეშ მოუქცევია ერთი მუშა. საბრალოს მაშინვე დახვევია ხალხი, უყვირნიათ პოლიციელებისათვის, მაგრამ ხმა მათი დარჩენილა ხმად მღაღადებლად... გულ-შემატკივარ კაცებს წაუყვანიათ ფაეტონის მსხვერპლი აფთიაქში და მხოლოდ ამის შემდეგ მოსულა ორი პოლიციელი, მოუსმენიათ ამბავი და უსაყვედურებიათ ხალხისათვის «რატომ არ დაიჭირეთ ფაიტონიო»... როცა პოლიციელებს სხვა-და-სხვა მხრისკენ წასვლა დაუპირებიათ, ერთს კარგად ჩაცმულს კაცს მათთვის მოუგონებია მათი მოვალეობა საბრალო მუშის შესახებ. პოლიციელები წასულან აფთიაქში მუშასთან, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ საავადმყოფოში წაეყვანათ, პოლიციაში წაიყვანესო!!

ხილეულობის სყიდვა-გაყიდვაზე ყურადღების მიქცევა—კარგი რამ უბძანებია თავის ხელქვეითს მოხელეთათვის ბატ. თბილისის პოლიცმეისტერს, კარგს იქმოდა, რომ მათვე უბძანებდეს ამისთანა შემთხვევაში მოიქცეოდენ ისე, როგორც მოითხოვს მათი თანამდებობა.

═ რუსულ გაზეთებში სწერია, რომ ამ ხანებში იქ შესდგა «ხალხთა-შორეებრივი საარხეოლოგიო საზოგადოება», რომელსაც საგნად აქვს შეისწავლოს, გამოიკვლიოს და დაიცვას საზოგადოდ ქრისტიანობის ძველი ნაშთი და სახსოვარნიო. ამ საზოგადოებაში ურევია თურმე, სხვათა შორის, რამდენიმე ფრანცუზი, რომელნიც ამ ზაფხულს კავკასიაში აპირობენ ჩამოსვლას და მიმოგზაურობას ამგვარ ნაშთთა და სახსოვართა დასათვალიერებლად.

═ ზემს «ცარევნას» მოუტანია ჩინეთიდამ ჩაის მცენარე ოდესაში, რათა სუხუმის ახლო-მახლო სცადონ მისი გაშენება და წარმოება.

═ ჩვენ გვატყობინებენ, რომ თბილისის მეტეხის ტუსაღების ბიბლიოთექის სასარგებლოდ კიდევ შეუწირავთ წიგნები შემდეგ პირთა:

1) კნეინა ....ას თორმეტი ეკზ. წიგნი ქართულს ენაზედ.

2) კაპიტანს სლიუსარენკოს 42 ეკზ. წიგნი რუსულს ენაზედ.

3) შტაბსკაპიტანის დოშაჩევსკის მეუღლეს მარიამს 10 ეკზ. წიგნი რუსულს ენაზედ.

4) მღვდელმონოზონს კალისტრატეს 6 ეკზ. წიგნი ქართულს ენაზედ.

«მეტეხის ციხის პატიმარნი—გვწერენ ამ საქმის თაობაზე—ამგვარის კაცობრიის თანაგრძნობისათვის უძღვნიან გულითადს მადლობას ზემოხსენებულ პირთა. ამასთანავე გულ-მოდგინედ სთხოვენ თანამგრძნობელ საზოგადოებას, შემოსწირონ პატიმრების სასარგებლოდ პატარა იაფი ფასის ანბანები რუსულს, ქართულს, სომხურს და თათრულს ენებზედ».

---

ნიშნავ წვეთსაც, რომელიც შველის ჩვენს ცოტაოდენს წარმატებას, იმ წარმატებას, რომელიც ნამდვილად და საფუძვლიანად წინა სწევს ცხოვრებას ცნობიერად თუ ცნობიერობის გარეშე და მაშინ ეს წვრილმანი ღონისძიებანიც კეთილს ნაყოფს მოგვანიჭებენ.

— მე არ შემიძლიან მაგაზედ დაგეთანხმოთ,—ცხარობდა გრიშა:—ჰკერეთ თქვენ მრთელ თქვენს სიცოცხლეში ეგ პერანგები,—თქვენ მაგით ვერ გააუმჯობესებთ გლეხ-კაცის მდგომარეობას. ამათ მდგომარეობას უშველის მხოლოდ უდიდესი წარმატება ცხოვრებისა.

— მომიტევეთ, გრიგოლ ალექსანდროვიჩ! მე თქვენს აზრს სრულებით ვეთანხმები და ვფიქრობ, რომ წარმატების მნიშვნელობა კეთილნაყოფიერია და სხვანი; მაგრამ რეფორმებს მე ისე დიდად არ ვაფასებ, როგორც თქვენა. მე საერთო კეთილ-დღეობის საზომად მიმაჩნია საზოგადოების კერძო პირთა ბედნიერება, რა მიზეზებისაგანაც უნდა წარმოსდგებოდეს ეს უკანასკნელი. ხოლო ბედნიერება კაცის გუნებაზეა დამოკიდებული და გარეგან მოწყობა-მორთულობისაგან არ წარმოსდგება. თუ მთხოვარს, მრთელი დღე გულით ამაოდ მოსიარულეს, მისცემენ საღამოზედ ათ შაურს,—ეს უზომოდ გააბედნიერებს მას არამცთუ იმ დღის განმავლობაში, არამედ მეორე დღესაც. სეც იცით, რომ ოქროებშიაც არიან ჩამსხდარნი, მაგრამ ცრემლები კი სდევიათ. ამისათვის, ვიმეორებ, პირად ბედნიერებას მე ძალიან დიდად ვაფასებ და ვსცდილობ არ მოვსცდე იქ, სადაც კი შემიძლიან დახმარება. აი ეხლა თქვენ მიაქციეთ ყურადღება ამ ბავშვების პერანგებს,—ჩემთვის არაფერს შრომას არ შეადგენს, როგორც ჰხედავთ, ეს მუშაობა; მე ესენი ხელ-და-ხელ შევკერე,—ამ დროს მან გადმოაგდო სტოლზედ გათავებული ფუფაიკა,—მაგრამ რამდენ კმაყოფილებას მოუტანს ოჯახს, რომელსაც ეს ერგება, მარტო იმისათვის ღირს, რომ ამისთანაებს უმეტესი დრო ვუმსხვერპლოთ. ბავშვს ისე დასთბება და რბილად იქნება ამ ფუფაიკაში და დედა ისეთი ბედნიერი იქნება ამ ნაჭრებში ნებივრად შეხვეული მოღიმარი შვილის ცქერით! თქვენ თითონ გასინჯეთ, ყველა ჩვენგანი რომ მისდევდეს ამისთანაებს და თავის თავისუფალს დროს ამ წვრილმან საქმეს სწირავდეს, რამდენ კეთილს მოვიქმედებდით! რამდენ დროს ვკარგავთ უნაყოფოდ; გარდახედეთ რამდენი ქალბატონები და ქალები, ვაჭრის ცოლები და ყოველი სხვა-და-სხვა წოდების ხალხი სხედან მრთელი დღე სრულებით უსაქმურად. იმათი ძალა რომ კეთილ საქმისათვის იხმარებოდეს, რა კარგი იქმნებოდა! უდიდეს საქმისათვის და დიდ განძრახულებისათვის სად აღმოჩნდებიან ჩვენში საკმაოდ ძლიერნი პირნი; მცირედი საქმის გაკეთება კი შეუძლიანთ ბევრს და ბევრთა. პატარა საქმის მნიშვნელობა რად უნდა უარ-ვჰყოთ? მასხარად და კირთად რად უნდა ავიგდოთ მცირე მაგრამ ღრმა მნიშვნელობით სავსე სასიკეთო ცდა და განძრახულება?

—

ასრედ ცოტ-ცოტაობით ანნა ანდრეევნას შეხედულობასა და რწმენებათა ცნობაში შევდიოდით. იმის სიტყვებში ცხოვლად იხატებოდა მარტივი და კარგი ცხოვრება; ხოლო თავადაც, თვის მიერ დასახულის ცხოვრების ჰიერზე, როგორც ნათელი, უბრალო და სრული არსება, რომელიც რასაც სიტყვით ამბობდა, დიდი ხანია, რაც საქმედ გარდაქცეოდა,—იგი გაგიტაცებდათ სიმარტივით, ბუნებრივის სინამდვილით, ადვილად ასასრულებელი აზრებით და მაგალითის ჩვენებით თავის წამბაძველად გაგხდიდათ.

ჩემს კატოზედ იმან სრულიად კეთილად იმოქმედა: იმის გავლენის ქვეშ ჩემი გოგონა გამოცოცხლდა, დაიწყო საქმიანობა, მოჰყვა უფრო ერთგულად და არა ხუმრობით მეცნიერების სწავლას და გაერთო წიგნების კითხვაში. უნდოდა ანნა ანდრეევნასთან დაახლოვება, მაგრამ იგი, როგორც ბრწყინვალე მზე ღრუბლიან დღეში, გამოსცხადდებოდა და ხელ-ახლად ხანგრძლივ მიიმალებოდა ხოლმე, თავის ავადმყოფების მოვლით გართული.

— ზამიგონეთ, ანნა ანდრეევნა, ვეუბნებოდი მას შეხვედრის დროს:—დრო არის თქვენი დასვენებისა! წამოდით, ჩვენსა დაისვენეთ.

— დავისვენო?! რისაგან? — გაოცდებოდა იგი,—თქვენ აღარ ხუმრობთ, კონსტანტინ ნიკალაევიჩ! მართლა გგონიათ, რომ ჩემი საქმე აგრე სამძიმოა? არა, მე თვით საქმის დროსვე ვისვენებ.

— რას ამბობთ, ნუთუ თქვენ არა გბეზრდებათ ერთგვარი ტრიალი დედაკაცებსა და გლეხებთან, ერთი და იგივე საგანის ათასჯერ განმეორება, იმათი უგუნურობა და სხვანი?

ლარინისამ გაიცინა.

— აი, სჩანს, რომ სულაც არ გაგივლიათ საერო საავადმყოფოში, თუ აგრე ფიქრობთ. მეტი ღონე არ არის, უნდა ახლოს გაგაცნოთ საქმეს. მობძანდით სადმე ჩვენთან, მომეხმარეთ; მე თქვენ პარაშოკების გაკეთებას მოგანდობთ და თანაც ათვალიერეთ იქაურობა. აი ხვალ კვირა არის, ბევრი ხალხი იქნება; მოდით ჩვენთან და თან მოიყვანეთ თქვენი კატოც მოსაშველებლად. ყველას საქმეს ვუშოვნით.

მე ვისარგებლე ამ მიწვევით და მივედ ავადმყოფების მიღების დღეს.

გლეხ-კაცობის და დედა-კაცების გროვა სულ ავსებდა დიდს ოთახსა, რომელშიაც თავის რიგს უცდიდენ ავად-მყოფები და თან მჭიდროდ შეჯგუფულნი აწვებოდენ კარებს შესასვლელად. ფერშალი იწვევდა მათ სათითაოდ.

მე და კატო შევედით მისალებ ოთახში. ლარინისამ მაშინვე საქმეზედ დაგვსხა, თითონ განაგრძო შეწყვეტილი ლაპარაკი ბებერ დედა-კაცებთან. დედა-კაცი შესჩიოდა თავის-ტკივილზედ და დაწვრილებით უამბობდა, დამთვრალმა ქმარმა როგორა სცემა მას თავში. ლარინისა მონაწილეობით უსმენდა ავად-მყოფს ამბავსა, მერე სიტყვა გააწყვეტინა, გაალო კარები და უთხრა.

— აი ხედავ, მარიამ: შენ ამბობ, რომ შენი ქმარი ხშირადა გცემს და შენვე აღიარებ, რომ ამას სიმთვრალეში სჩადის ხოლმე. ცოტას რომ სვამდეს,—თქვენ ტკბილად იცხოვრებდით. ქმრები რომ ხშირადა სმენ, ხან-დის-ხან ცოლებიც არიან ამის მიზეზნი, არ იციან მათი შეკავება. სხვა მაზრებში იცი, რას ჩადიან დედაკაცები? ისინი ერთად შეიკრიფებიან და თხოულობენ, რომ ერობამ დუქნები დახურეინოს. ისინი ისე მტკიცედ მოქმედობენ, რომ თავისი გაჰყავთ. მართლადაც, თუ ახლოს დუ-

## «დროების» კორესპონდენცია.

ქ უ თ ა ი ს ი, ივლისის 1-ს. დავიწყოთ ამ თვის დღიური: მეროპიდამ ხოლერა გვემუქრება და აზიიდამ ჭამი. არ ვიცით, ქალაქის გამგეობა ფიქრობს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ქალაქის სისუფთავეს, თუ არა. არა კმარა მარტო ქალალდზე სანიტარული წესების დადგენა; აქ საჭიროა მოქმედება. შარშანდელი წლის მაგალითი გვაშინებს; თუმცა ყოველივე სიტყვით და ქალალდზე შესრულდა, მაგრამ ქალაქში იგივე დიდი სიბინძურე სუფევდა.

ამ თვის 11-ს ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში დანიშნულია არა ჩვეულებრივი კრება ერთის დირექტორის ამოსარჩევად, რომელმაც დასტოვა ადგილი სხვა თანამდებობის მიღების გამო. ბევრს სალერღელი აშლია ამ ადგილისათვის. ბევრს ჰსურს კენჭი იყაროს და დიდს მზადებაში არიან. ერთი მსურველთაგანი არის კათოლიკე. ჩვენთვის სულ ერთია — რა სარწმუნოებისაც უნდა იყოს დირექტორი, ოღონდ მას ჰქონდეს ის ღირსებანი, რომელნიც საჭიროა ამ გვარი თანამდებობისათვის — საქმის ცოდნა, პატიოსნობა და მუყაითობა. ჩვენ მხოლოდ გვაშფოთებს ის გარემოება, რომ ერთს ბატონს არ მოსწონს ეს კათოლიკე და რომ ველარა უწამებია-რა, ურჩევს თურმე ვაჭრებს — ფრანგიაო, ჩვენ ქართველი უნდა ამოვირჩიოთო. ამის მთქმელი უმეცარი ვინმე კი არ გეგონოთ, ეს გახლავთ სწავლული. სირცხვილი, მე-დაჩემმა ღმერთმა. რით ვერ შეიტყვეს, რომ კათოლიკენი ფრანგები არ არიან? ბანა ცოტა დაწერილა ამ საგანზე „დროების“ ფურცლებზე? ნუთუ ამ გვარი მოქმედება არ გააცალკევებს ერთს ხალხში სხვა-და-სხვა სარწმუნოების აღვიარებელთა.

უკანასკნელად ორიოდე სიტყვა ერთ სასწავლებელზე. ამ სასწავლებელში ერთს პირს ჰსურს შემოიღოს პირობით დაქირავება მასწავლებელთა; პირობის ძალით ჯარიმაც გადახდება მასწავლებელს რაიმე შეცდომისათვის. როგორ მოგწონთ, ბატონებო! ვგონებ, უსწავლელის თავშიც არ დაიბადოს ამ გვარი აზრი, არა თუ მასწავლებლად მოწოდებულისაში. ვინ სულელი მასწავლებელი იქმნება ამ გვარი წესით მასწავლებლად დადგეს სასწავლებელში, როცა ადვილად შეიძლება უფროსებმა ისარგებლონ პირობით, უბრალო რამე შეცდომად ჩაუთვალონ და მასწავლებელს ხელი დაანინონ ჯამაგირისაგან მალ-მალ ჯარიმის გადახდევინებით. რა მხრითაც უნდა შევხედოთ ამ საქმეს, დიდად მავნებელია ეს წესი სწავლის წარმატებისათვის. საიდამ სად მოიგონეს, ან სად გაგონილა ამ გვარი რამე. რას არ შეემთხვევა კაცი ამ ცოდვილ ქვეყანაში!!!

ა. ჩ.

## უ ც ხ ო ე თ ი.

ავსტრო-ვენგრია. «მოსკოვის უწყებების» სიტყვით, «პეშტის ლოიდს» შემდეგი ტელეგრამა მიუღია ტემეშვარიდგან ივნისის 30-ს (ახ. სტ.): „დღეს აქ გავრცელდა ხმა, ვითომც ერთს ადგილას ვიღაც დედა-კაცი გამხდარიყოს ხოლერით ავად. მოწვეულმა ექიმმა ხოლერად კი არა, ხოლერინად იცნა ეს ავადმყოფობა; მაგრამ მაინც კიდევ შუა-დღეს უკან მოხდა ექიმთა კონფერენცია ბურგომისტრის თავმჯდომარეობით იმის განსახილველად, თუ რა გასაფრთხილებელნი საშუალებანი იხმარონ ხოლერის წინააღმდეგ“. „მოსკოვის უწყებებისავე“ სიტყვით, ავსტრიულს და ვენგრიულს გაზეთებში იწერებიან, რომ ავსტრო-ვენგრიაში თითქმის ყოველს ადგილას შესდგომიან შარშანდელ საშუალებათა ხმარებას ხოლერის წინააღმდეგ; განსაკუთრებული ყურადღება ფაბრიკებისთვის და ქარხნებისთვის მიუქცევიათ.

საზოგადოდ ეხლა ავსტრო-ვენგრიაში დღიურ ვარმად აქვთ ბლომარჩევითი ბრძოლა და ის საშუალებანი, რომელნიც ხოლერის წინააღმდეგ უნდა იქმნან ხმარებულნი. ყოველგან სდგება კომიტეტები, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ სანიტარულ საშუალებათ. ამის გამო ვენა გაყოფილია 13 ნაწილად და ქალაქის საბჭოს მოლაპარაკება აქვს იმაზედ, თუ სად გამართოს სახოლერო საავადმყოფოები. მაგრამ მმართებლობა ხმარობს ყოველ ამ ღონისძიებათ უფრო იმიტომ, რომ მცხოვრებლები დაამშვიდოს, თორემ მაგრე რიგად არ ეშინიან მას ხოლერის შემოტანისა, რაღგანაც ექიმებს, რომელთაც სიტყვა დაეჯერებათ, გაზვიადებულად მიაჩნიათ შიში ხოლერის შემოტანის შესახებ. ივლისის 2-ს (ახ. სტ.) წარჩინებულს პროფესორს ბილოტრს უთქვამს სანიტარულს საზოგადოებაში, რომ ტულონის ხოლერა იმოდენად არ არის საშიში, როგორც მიგვაჩნიაო. ის დარწმუნებულია, რომ ეს ავადმყოფობა ადვილი მოსასპობია და ამისთვის მხოლოდ ფულია საჭიროო.

ეგვიპტე. ქაირიდგან მოსვლიათ გაზეთებს ამბავი, რომ მაჰდის სწავლის ქადაგება ძლიერ გაძრიელებულა და მეტად მარჯვედ მიდის თურმე მისი საქმე. ისლამის იეზუიტნი, შეიხ-სანუსის მიმდევარნი, რომელნიც მოროკოში იმყოფებიან, ენერგიულად მოქმედებენ მაჰდის სასარგებლოდ და განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა და მიწერ-მოწერა აქვთ თურმე მასთან. რამდენიმე კვირის წინად ქაირში ელ-ყაზარის მეჩეთს და უმაღლესს სკოლას, სადაც იკრიფება მთელი ქაირის ინტელიგენცია, გაუმართავს საიდუმლოდ კრება თავის წევრთათვის, რომელთაც ცრუ-წინასწარ-

---

ქანი არა აქვსთ, აღარ ექმნებათ მაცთუნებლადაც სასმელი. ვსთქვათ, რომ გლეხი იპოვის, სადაც იქნება თავისთვის არაყს, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ მოახერხებს, ჯერ უნდა წავიდეს იქებოს და მერე მეტი ფასიც უნდა მისცეს. როდესაც გვერდით დუქანი აქვს, იმაზედ უადვილესი რა არის, შევიდეს შიგა და გონების გამოლევამდინ ჩაითროს. მერე გლეხმა ისე არ იცის სმა, რომ მოთმენა კიდევ შეეძლოს. თუ პირველი რუმკა გადაჰკრა, იქვე მიჰყიდის თავის ჩექმებსაც და ქუდსაც და შინ იმ სახით დაბრუნდება, რომ თვალით აღარ უნდა ეჩვენოთ! მსეც არა კმარა! ყოველ უბედურებას ბოლო არა აქვს! აი ეხლა შენ ნაცემი ხარ და მოხველ ჩემთან შველისათვის და რჩევის საკითხავად; ვსთქვათ, მე გიშველე, — განა ამით საქმეს ბოლო მოეღება? არა, ავადმყოფობა კიდევ გამოგაჩნდება და ბევრჯელ იკვნესებ, საქმე ხელიდან გაგივარდება. შენი თავისთვის და სხვისთვისაც ტვირთი შეიქმნები; ლოთ ქმარს რა მოუვა? ბაბმული ლოთობა ხომ პირველი მტერია ჯანისა? ბილრე გლეხი ყმაწვილია, იმას კიდევ შეუძლიან მავნებელი რისმეს ატანა, ცოტა მეტს რომ იცხოვრებს, დაუწყებს ჯანი კვნესას, წყალმანკი, გულის კანკალი და ამისთანები აუტყდება; ამ გვარი სიცოცხლე რა სიცოცხლეა!

— მართალია, მართალი, დედავ! — განიმეორებდენ გლეხები და დედაკაცები, რომელნიც კარებში იდგნენ და ლარინისას ყურს უგდებდენ.

— გამიგონეთ, ანნა ანდრეევნა, — შევნიშნე მე, როდესაც იმან დაითხოვა დედა-კაცი და მიხურა მისაღები ოთახის კარი, — თქვენ ძალიან უმანკო ყოფილხართ, გგონიათ, რომ თქვენი ქადაგების კვალი დარჩება ამ ხალხში. იგივე გლეხი, რომელიც გულ-წრფელად გემოწმებოდათ თქვენ, აქედანვე პირ-და-პირ წავა პირველსავე დუქანში.

— თქვენ უფრო ჩემზე უმანკო ყოფილხართ, კონსტანტინ ნიკოლაევიჩ, თუ ჩემში ის უმანკოება გგონიათ, ვითომ მე ისე ბრმად მწამდეს ჩემი ნათქვამი სიტყვების მოქმედება. ქარგადვიცი, რომ გლეხის ცხოვრებას და აზრს მე ვერ გადავახალისებ; მაგრამ მტკიცედ მწამს შეუცვლელი კავშირი, რომელიც არსებობს მიზეზისა და შედეგის შორის. მწამს, რომ ყოველ სიტყვას და ყოველ საქმეს უნდა აუცილებლად ჰქონდეს თავისი შედეგი, რაც უნდა მცირე იყოს იგი. ჩემი სიტყვები დაახსოვდება ვისმე და, ვინ იცის, იქნება ასში ერთმა მაინც დაიმარხოს გულში და თუ ამ წამსვე არა, სხვა უფრო საჭირო შემთხვევის დროს მოაგონდება იგი და საქმეში გამოიყენებს. თვით ქვაზედ შეუწყვეტლად თითო წვეთი წყალი რომ ასხა, ისიც დაიჩვრიტება; ამ გვარადვე, თუ არ მოვიღალეთ ამ საგანზე ხალხის სწავლებით, შესაძლებელია, მეც კვალი დავაჩნიო ძნელად მამყოლ გლეხის ტვინში და ნუ თუ ეს საკმაო ჯილდო არ არის.

— დიახ: „ვინც იცის ღირსება თავის მისწრაფებისა, ის არაფრად აფასებს შრომას, რაც უნდა ძვირად უჯდებოდეს იგი“ — ოხვრით წარმოვსთქვი მე, ვილაც ბრძნისაგან ნათქვამი.

ლარინისამ გაიღიმა, თითქოს ამით ამბობდა, რომ მე ვიპოვე იმის აზრის შესაბამი სიტყვები და ხელ-ახლად დაუბრუნდა თავის საქმეებს.

მისაღებს ოთახში შემოვიდა დედაკაცი ავადმყოფის ბავშვით. ლარინისამ დახედა ყმაწვილს და საყვედურით მიმართა დედა-კაცს.

— გამიგონე, არა გრცხვენიან ამისთანა ჩირქიანი ფუას პირში ჩაჩრა? — უთხრა მან და მოაცილა ბავშვს პირიდან მოლურჯო, გაქონილი ჩვარი და გაჯავრებულმა ჩააგდო ტასტში. — აი ამისთანებისაგან ხდებიან გლეხის შვილები ავად. შენ უთუოდ მოხველ იმისათვის, რომ შენს შვილს პირს ქობა აქვს, და ღამე ტირის.

— დიახ, სწორედ აგრეა, ქალბატონო! რასაც კი სჭამს, იმწამსვე პირიდან აღებინებს. ტირილით ხომ ერთთავად სულ გაჰკივის!

— აბა, ხედავ! ეს ხომ ყველა უსუფთაობისაგან არის! განა შენთვის ძნელია, რომ ბავშვს პირში რძე მისცე, ამ მჩვრის მაგივრად? ერთი ძროხა ღირს სულა და, თუ აქ მოხვალ, მუქთადაც მიიღებ. თორემ მაშ რასა იქს, რომ ავად არ გაგიხდეს: ჩასტენ, რაც მოგვხდება პირში, — სულ ერთად ჩამქავდება ესა, დალპება, კუჭს მოუშლის, — რასაკვირველია, აეშლება პირიდან და ტანიდან საქმობა. სულ მთლად რა ჭუჭყიანადა გყავს ეგა! განა ვერ იპოვი დროს, რომ უჯეროდ ამოურეცხო პერანგი? არ დაგიჯერებ მე მაგას. მუშაობის დროს რომ კიდევ დედა-კაცმა მოუცლელობით იმართლოს თავი — კიდევ ჰო, მაგრამ შემოდგომაზედ და ზამთარში შეიძლება, ვგონებ, სისუფთავეს ყურადღება მიაქციოს.

— აი, წაიღე პერანგი, — ამოიღო ლარინისამ წინად მომზადებული უჯრიდან თავის ხელით შეკერილი პერანგი, — ჩააცვი და ხშირად გაურეცხე ხოლმე, ამით შენი ბავშვი უფრო სალად გეყოლება.

— დროა ახლა კი ცოტაც არის შეისვენოთ, — შევაყენე მე ლარინისა, რომელსაც უნდა დაეძახნა შემდეგი ავადმყოფისათვის. თქვენ სრულებით დაიქანცებით, თუ ასე დიდხან ექაქანებთ ყველას თვითეულ საგანზედ.

— დიახ, მართლა, ხან-და-ხან ენა ამერევა და სასაცილო საქმეები მოხდება ხოლმე. ერთს ავადმყოფს, ქინაქინის მაგიერად, დავუწერე — მიეცათ დრო გამოშვებით ციება, რამაც ხარ-ხარი გამოიწვია მთელ აფთეკაში. ერთხელაც ბეჯითად და არა ხუმრობით ვურჩევდი ერთს მოხუცს, ემოვნა თავისათვის თიაქარი იმ დროს კი მე ვფიქრობდი იმის თიაქრის ასაკრავზე; ამაზედ დიდად შესწუხდა საცოდავი, რადგან თავის თიაქარსაც არ იცოდა, სად გაჰქცეოდა.

ჩემგან დასვენების რჩევის მიუხედავი, ლარინისა განაგრძელებდა ავადმყოფების დევნას და არა გრძნობდა დაღალვას. მარდად დარბოდა ერთისაგან მეორესთან და მხიარულად ელაპარაკებოდა თვითეულს მათგანს. ავადმყოფიართობდა მას თავის სნეულობით და თვით პირადობითაც; უცქეროდა მათს მარტო სნეულ მხარეს კი არა, არამედ ისე როგორც გასაცნობლად დიდად სანუკვარ ხალხს. ის ნამდვილად შეისწავლიდა ყველა თავის ავადმყოფს პსიხიურის მხრით, თითქოს უნდოდა გამოცნობა, რომელზედ, რომლის გზით უფრო კარგად ვიმოქმედებო.

ლარინის მისაღებ ოთახში გატარებულმა დილამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ და ვსთხოვე მიეცა ჩემთვის ნება დავსწრებოდი კიდევ როდისმე, როცა იგი ავადმყოფებს მიიღებდა.

(შემდეგი იქნება).

მეტყველის სასარგებლო ა[illegible]რი წარმოუთქვამთ. ეხლა ეს დაწესებულება ამზადებს თურმე პროკლამაციას, რომელშიაც იქნება გამოცხადებული, რომ ყოველნი პირობანი მაჰმედ-ახმედის შობისა გარეგანი შეხედულობისა და მოქმედებისა სრულიად ეთანხმებიან ყორანის წინასწარმეტყველებას „მოისხანე წინასწარმეტყველის“ შესახებ. თვით მაჰდი კი, როგორც ეტყობა, ამჯობინებს თავის თავს უწოდოს ჭეშმარიტის წინასწარმეტყველის წინამორბედი, ანუ მახარობელი.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივლისის 2-ს.

**პეტერბურგი.** დღეს მოხდა ტირაჟი და შემდეგ ბილეთებს შინაგანი სესხისას შეხვდათ მოგება.

| №№ სერიათა. | №№ ბილეთთა. | ჯამი მოგებისა. |
|---|---|---|
| 7,874 | 17 | 200,000 |
| 8,963 | 46 | 75,000 |
| 18,143 | 19 | 40,000 |
| 16,433 | 17 | 25,000 |
| 10,339 | 49 | 10,000 |
| 19,855 | 11 | 10,000 |
| 1,264 | 7 | 10,000 |
| 777 | 33 | 8,000 |
| 13,572 | 33 | 8,000 |
| 18,975 | 44 | 8,000 |
| 1,091 | 44 | 8,000 |
| 15,026 | 20 | 8,000 |
| 15,097 | 40 | 5,000 |
| 6,554 | 50 | 5,000 |
| 19,115 | 8 | 5,000 |
| 17,654 | 14 | 5,000 |
| 12,360 | 34 | 5,000 |
| 8,248 | 20 | 5,000 |
| 11,844 | 44 | 5,000 |
| 1,880 | 7 | 5,000 |
| 14,638 | 28 | 1,000 |
| 13,837 | 35 | 1,000 |
| 12,819 | 40 | 1,000 |
| 16,151 | 45 | 1,000 |
| 13,555 | 49 | 1,000 |
| 14,650 | 33 | 1,000 |
| 7,010 | 31 | 1,000 |
| 12,374 | 29 | 1,000 |
| 14,387 | 37 | 1,000 |
| 4,134 | 2 | 1,000 |
| 4,179 | 48 | 1,000 |
| 12,858 | 13 | 1,000 |
| 11,580 | 22 | 1,000 |
| 13,225 | 29 | 1,000 |
| 4,071 | 11 | 1,000 |
| 12,512 | 47 | 1,000 |
| 7,137 | 20 | 1,000 |
| 5,652 | 11 | 1,000 |
| 1,225 | 39 | 1,000 |
| 15,755 | 12 | 1,000 |

**ლონდონი.** ხმებია, ვითომც საფრანგეთის საფინანსო წარმომადგენლებს კონფერენციაზე ეგვიპტის ვალის სარგებლების შემცირების წინააღმდეგ ელაპარაკნოთ

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატამ უარ-ჰყო რევოლიონის და ლაგერის წინადადება პოლიტიკური დამნაშავეობისთვის დასჯილ პირთა პატიებაზე; მაგრამ პრეზიდენტმა გრევიმ რამდენიმე დეკრეტზე ხელი მოაწერა ამგვარ პირთა სასჯელის შესამსუბუქებლად. პალატამ გადასდო ორი მილიონი ფრანკი ხოლერასთან ბრძოლისთვის იმ ქალაქებში, სადაც იგი გაჩენილა.

**ლიონი.** ხოლერისაგან მოკვდა: აქ 1, ტულონში 28 და მარსელში 21.

ივლისის 3-ს.

**ვარშავა.** ის ზარალი, რომელიც ექვსს პრივისლიანის გუბერნიას მოუვიდა წყალდიდობისაგან თითქმის ოთხ მილიონ მანათამდის იქნება და ძლიერ აღემატება იმ ფულს, რომელიც მიეცათ მცხოვრებლებს შესაწევნელად, რადგანაც თითო სული სამს მანეთზე ცოტა მეტს მიიღებს.

**ბერლინი.** რუსის ჯარების მანევრებზე დასასწრობლად იგზავნება გენერალ ლეიტენანტი ლეშჩინსკი.

**სოფია.** ახალი სამინისტრო სრულიად შესდგა; დანიშნულნი არიან: კარაველოვი—მინისტრპრეზიდენტად, ჩანოვი – გარეშე საქმეთა, სლავეიკოვი—შინაურ საქმეთა, როდოსლავოვი იუსტიციისა და კოროლევი სახალხო განათლებისა; საზოგადო სამუშაოთა სამინისტრო უქმდება და ამ ნაწილის დროებით გამგებლად იქნება კარაველოვი; სასალხო კრების პრეზიდენტად ამოირჩივს სტამბულოვი.

**პარიჟი.** გუშინ სახალხო დღესასწაულების დროს, «ოტელ კონტინენტალთან» მიმავალ გიმნაზიელთ, დაინახეს რა გერმანიის დროშა, შექნეს ყვირილი და მოითხოვეს ამ დროშის მოშორება, გიმნაზიელებს მიემატნენ ქუჩის ბიჭებიც, დახიეს დროშა და სასტუმროს ფანჯრები დაუმტვრიეს; პოლიციამ გაფანტა მაშფოთარნი.

**მარსელი.** აქ მოკვდა ხოლერისაგან 64 და ტულონში 19 კაცი.

# განცხადებანი

ინგლისური რკინის პრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25% -თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამაჭრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფოსი, დასადგმელი, ბირისსაბანი, სტაქნები, [illegible], საწყაო, სკები, რიუმკები, [illegible] თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფუძვები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარიადები, კაპსიულები, ხათაბგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—32)

შენახვა ჩრჩილისა და ბუზანკალისაგან.

**ნაფტალინი** (ქაფური) **ჩრჩილის გამჭყოლი** წყალი, სპარსული და დალმატიური პარაშოკი, გუტპერჩის ტომრები ბეწვეულობის და შალის ტანისამოსის შესანახავად. პომადა მეტალთა დასაფერავად, საუკეთესო ფრანცუზული ვაქსა, გლიანც-სახამებელი, ლილა და სხვანი საოჯახო ნივთეულობანი ისყიდებიან ტფილისში, საათფთიაქო საქონლების სავაჭრო კავკასიის ამხანაგობაში. (70—20)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $2^1/_2$

მეორისა— — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. $4^1/_2$

მეორისა— — —1 გ. 3 კ.

მესამისა— — —1 გ. $2^1/_2$

ჯვარის-მამი პური:

პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$

მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. 8 კ.

მეორისა— — —1 გ. 7 კ.

ხუკი . . . —1 გ. 15 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა —1 გ. — კ.

მეორისა— — —1 გ. — კ.

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(საშუაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ: შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(ზარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 3 Іюля 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილისა. რედ. ი. მაჩაბელი.